


ქცევის მართვის პოზიტიური მხარდაჭერა სკოლებში – პრევენციული აქტივობები

გზამკვლევი მასწავლებლებისთვის



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

გზამკვლევი მუშაობდნენ:

ავტორები:

თამარ მუშლაძე, პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკის მაგისტრი,
ფსიქოლოგი

ნინო მიქიაია, განათლების ადმინისტრირების მაგისტრი, ფსიქო-
ლოგი

თამთა სააბიშვილი, ფსიქოლოგიური შეფასების, დიაგნოსტი-
რებისა და კონსულტირების მაგისტრი, ფსიქოლოგი

კონსულტანტი:

თამარ ისაკაძე, ფსიქოლოგიის მაგისტრი, საქართველოს განათ-
ლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულ-
ტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი

იღვის ავტორი:

ეკატერინე დგებუაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განვითარების
სამმართველოს უფროსი

კორექტორი:

მარიამ ბედიანაშვილი

დიზაინერი:

მარიამ ჭიჭავაძე

დამკვეთი:

ქესო მამფორია

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურის და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სწავლების
ხელშეწყობის პროგრამის საინფორმაციო და მეთოდოლოგიური
მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში

2018

სარჩევი

თავი 1. შესავალი ეცვითმეცნიერებაში

1.1. ქვევის ბანსაგვრება	8
1.2. ქვევის მიგანი/ფუნქცია	9
1.3. ქვევის მახსნიათებლები	11
1.4. ქვევის ჩამოყალიბება	12

თავი 2. რთული ეცვით

2.1. რთული ქვევის სახეები	17
2.2. რთული ქვევის მაკრომოცირობელი ფაქტორები	20

თავი 3. რთული ეცვითის პრევენცია სკოლაში

3.1. პრევენციის გობადი სტრატეგიები და კონკრეტული ქმედებები	25
3.2. ფიზიკური გარემოს ორგანიზება	33

თავი 4. ეცვითის მართვა სკოლაში

4.1. ქვევის მიგანი/ფუნქციის ბანსაგვრება	42
4.2. მისალები ქვევის გამოვლენის გარდის სტრატეგიები	43
4.3. რთული ქვევის პრევენცია სკოლაში	49

თავი 5. კლასის მართვა

5.1. კლასის მართვის რეკომენდებული ტექნიკები	56
5.2. კლასის მართვის არარეკომენდებული ტექნიკები	60

თავი 6. ქცევის კოგნიტიური მხარდაჭერის მიდგომა

6.1. ქცევის კოგნიტიური მხარდაჭერის პროგრამის და ინტერვენციის დონეები	70
6.2. მშობლების როლი ქცევის კოგნიტიური მხარდაჭერის პროგრამაში	74

წინასიტყვაობა

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია სკოლის პერსონალის ინფორმირება ქცევის მართვის პოზიტიური მხარდაჭერის შესახებ, რომელიც წარმოადგენს პროაქტიულ მიდგომას და ტრადიციული სასკოლო დისციპლინისგან განსხვავებით, აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ არასასურველ ქცევაზე სათანადო რეაგირების აუცილებლობაზე, არამედ ქცევითი სირთულეების პრევენციის მნიშვნელობაზე, დასჯის ნაცვლად კი იყენებს მასწავლებლის მხრიდან მოსწავლისთვის სასურველი ქცევის მოდელირების, წახალისებისა და სწავლების მეთოდს.

იქიდან გამომდინარე, რომ პოზიტიური მხარდაჭერის მიდგომა ეყრდნობა ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპებს, მოცემული გზამკვლევი იწყება ქცევითმეცნიერების ისეთი ძირითადი ცნებების განხილვით, როგორცაა ქცევა და ქცევის ძირითადი მახასიათებლები, მისი შემდგომი თავები კი ეთმობა არასასურველი ქცევის კრიტერიუმების განსაზღვრას, რთული ქცევის სახეების, მიზნების, მიზეზებისა და მაპროვოცირებელი ფაქტორების განხილვას.

გზამკვლევის დასკვნით ნაწილში კი დეტალურადაა წარმოდგენილი კლასის მართვის რეკომენდებული და არარეკომენდებული ტექნიკები და განხილულია ქცევის პოზიტიური მხარდაჭერის პროგრამის სპეციფიკა და მახასიათებლები.

თავი 1.

შესავალი ქვეპროექტებში

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ რა იგულისხმება რთულ ქცევაში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვმარტოთ თუ რა არის ზოგადად ქცევა, რა მახასიათებლები გააჩნია მას და როგორ ხდება ამა თუ იმ ქცევის დასწავლა ადამიანის მიერ.

1.1. ქცევის განსაზღვრება

რა არის ქცევა? შეიძლება ითქვას, რომ ქცევაში იგულისხმება ცოცხალი ორგანიზმის ნებისმიერი აქტივობა. ადამიანის ქცევა არის ყველაფერი რასაც ის აკეთებს, მის მიერ შესრულებული სხვადასხვა მოქმედება, მოძრაობა, ლაპარაკი, ფიქრი და გრძნობაც კი. მაგალითად:

- ქცევაა თქვენ მიერ ამ გზამკვლევის გადაფურცვლა;
- ქცევაა თქვენ მიერ ამ გზამკვლევის კითხვა;
- ქცევაა ფიქრი ამ გზამკვლევის შესახებ;
- ქცევაა ამ გზამკვლევის დათვალიერება, მისი ფიზიკური მახასიათებლების, სიმძიმის, ფაქტურისა და ფორმის შეგრძნების მიზნით;
- ქცევაა ამ გზამკვლევის შესახებ სიტყვიერი კომენტარის გაკეთება.

1.2. ქცევის მიზანი/ფუნქცია:

აღსანიშნავია, რომ ინდივიდის მიერ კონკრეტული ქცევის გამოვლენას ყოველთვის აქვს რაიმე ფუნქცია/მიზანი. როგორც წესი, აღნიშნული მიზნები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა:

1. სასურველის მიღება. ქცევის გამოვლენით ინდივიდი შესაძლოა ცდილობდეს მიიღოს მისთვის სასურველი რამ. მაგალითად, წყლის დალევა ემსახურება წყურვილის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ფიზიკური ძალის გამოყენებით თანატოლისთვის სათამაშოს წართმევა კი ბავშვს ეხმარება მისთვის სასურველი ნივთის მიღებაში.



2. არასასურველის თავიდან არიდება. ქცევა, ასევე, შესაძლოა ეხმარებოდეს ინდივიდს მისთვის უსიამოვნო აქტივობის ან სტიმულისთვის თავის არიდებაში. მაგალითად, ჩვენ ვხურავთ ფანჯარას, იმ შემთხვევაში თუ ხმაური გვაწუხებს, ან ვიღებთ წამალს, რათა გავუმკლავდეთ ტკივილს.

მართალია, ყოველდღიურ მეტყველებაში სიტყვა მოძრაობა და მოქმედება, ხშირად, ქცევის სინონიმებად გამო-

იყენება, თუმცა მნიშვნელოვანია მათ შორის არსებული განსხვავების განხილვა.

მართალია ქცევა, როგორც წესი, მოძრაობას მოიცავს, მაგრამ ნებისმიერი მოძრაობა არ შეიძლება ქცევად ჩაითვალოს. ქცევად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინდივიდის მიერ მიზანმიმართულად განხორციელებული აქტი-



ვობა, რომელსაც გააჩნია თავისი მიზანი და ფუნქცია. მაგალითად, ძლიერი ქარის ნაკადის მიერ ადამიანის მიწაზე დავარდნა არ მიიჩნევა ქცევად, რადგან ძლიერმა ქარმა შეიძლება ძირს დაანარცხოს როგორც ცოცხალი, ისე არაცოცხალი ობიექტი. თუმცა, ქარის მიერ ძირს დავარდნილი ადამიანის მოჭიდების მცდელობა ან ყვირილი, რომელიც დახმარების თხოვნისკენ იქნება მიმართული, უდავოდ ქცევებად ჩაითვლება.

ასევე არ არის სინონიმები ქცევა და მოქმედება, რადგან ქცევა, როგორც წესი, რამდენიმე მოქმედებისგან შედგება, მაშინ, როდესაც მხოლოდ მოქმედება ცალკეულ ქცევად ვერ ჩაითვლება. მაგალითად, წყლის დალევის ქცევა, როგორც წესი, მოიცავს შემდეგ მოქმედებებს: ონკანის გაღება, ჭიქის აღება, ჭიქის წყლით ავსება, ონკანის

დახურვა და წყლის ჭიქის პირთან მიტანა და წყლის დალევა. ყველა ამ მოქმედებას აერთიანებს ერთი მიზანი, შესაბამისად ისინი ცალცალკე ქცევებად არ განიხილება.

1.3. ქცევის მახასიათებლები

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნებისმიერი ქცევა არსებობს დროსა და სივრცეში და შესაძლებელია მისი გაზომვა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- ❑ **ხანგრძლივობა** - რომელიც გვიჩვენებს, თუ რა დროის მანძილზე ხორციელდება კონკრეტული ქცევა (მაგ.: ნიკა გუშინ ტიროდა 10 წუთის განმავლობაში).
- ❑ **სიხშირე** - რომელიც გვიჩვენებს, კონკრეტული ქცევის გამოვლენის სიხშირეს დროის გარკვეულ პერიოდში. (მაგ.: ნიკა, სკოლის გარემოში, ტირის ყოველდღე)
- ❑ **ინტენსივობა** - რომელიც გვიჩვენებს, რა ძალით ხორციელდება კონკრეტული ქცევა (მაგ. ნიკა ისე ხმამაღლა ტირის, რომ გვერდით ოთახშიც კი ისმის)
- ❑ **ლატენცია** - რომელიც გვიჩვენებს დროს კონკრეტული, ერთი სახის, ქცევების გამოვლენას შორის (მაგ.: ნიკას ტირილის ქცევებს შორის შუალედი საშუალოდ 24 საათია)

1.4. ქცევის ჩამოყალიბება

დაბადებისას ადამიანის ქცევის რეპერტუარი საკმაოდ შეზღუდულია და, ძირითადად, მოიცავს რეფლექსებს, ანუ ორგანიზმის საპასუხო რეაქციებს გამღიზიანებელზე, რომელსაც ცენტრალური ნერვული სისტემა ახორციელებს და აკონტროლებს. ისეთი რეფლექსები, როგორცაა, მაგალითად, ხელის გულზე შეხებისას მუშტის შეკვრა, წოვა და თვალების ხამხამი, ახალშობილის თანდაყოლილ ქცევით ფორმებად შეიძლება მივიჩნიოთ. ზრდა-განვითარებასთან ერთად, რეფლექსების დიდი ნაწილი ქრება. სამაგიეროდ, ადამიანის ქცევის რეპერტუარი ფართოვდება, მრავალფეროვნდება და რეფლექტორული ქმედებები, მიზანმიმართული ქცევებით იცვლება.


და, მაინც, როგორ ხდება ახალი ქცევების ჩამოყალიბება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, ქცევათმეცნიერება ანუ ბიჰევიორიზმი (Behavior ქცევა, ინგლ.), რომლის მიმდევრებიც ქცევის ჩამოყალიბებაში წამყვან როლს გარემო ფაქტორებს ანიჭებენ.

ერთ-ერთმა წამყვანმა ბიჰევიორისტმა-ბერეს ფრედერიკ სკინერმა ყურადღება გაამახვილა ქცევის გამოვლენასა და მის შედეგებს შორის არსებულ კავშირზე და მრავალი ლაბორატორიული კვლევით დაამტკიცა, რომ ქცევის

გამოვლენის ალბათობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს იმის მიხედვით, თუ რა შედეგი მოაქვს მას ინდივიდისთვის.

სწორედ სკინერის შრომებს ეყრდნობა თანამედროვე ქცევის გამოყენებითი ანალიზი, რომელიც თითოეული ქცევის გაანალიზებისთვის გვთავაზობს ე.წ. ABC მოდელს.

ABC წარმოადგენს ინგლისური სიტყვების აბრევიატურას, სადაც A აღნიშნავს -Antecedent-ს, ანუ წინაპირობა, B-შეესაბამება Behavior-ს, ანუ ქცევას, C - კი Consequence -ს, ანუ შედეგი.



წინაპირობას უწოდებენ სტიმულს, რომელიც წინ უსწრებს ქცევას და რომლის საპასუხოდაც აღმოცენდება ის, ხოლო შედეგი არის ის, რაც უშუალოდ მოსდევს ქცევას. სწორედ შედეგს შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს

მომავალში ქცევის გამოვლენის ალბათობა. მაგალითად, სანდროს მოეწონა თანაკლასელი ნინის ახალი კალამი, სთხოვა ეთხოვებინა მისთვის, მაგრამ უშედეგოდ (A-წინაპირობა). ამის გამო, სანდრო გაბრაზდა და სცადა ხელიდან წაერთმია აღნიშნული ნივთი (B-ქცევა) თანაკლასელისთვის, რომელსაც კვლავ არ უნდოდა კუთვნილი კალმის დათმობა. ამ სცენის შემხედვარე მასწავლებელმა სიტუაციის განმუხტვისთვის სთხოვა ნინის მიეცა სანდროსთვის კალამი და ნინიმაც შეასრულა მასწავლებლის მითითება (C-შედეგი).

ქცევის წინაპირობისა და შედეგების ცოდნა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის დაგვეხმარება დავადგინოთ, თუ რა ახდენს ამა თუ იმ ქცევის, ან ქცევითი პატერნის განმტკიცებას, მის შენარჩუნებას ადამიანის ქცევით რეპერტუარში.

ჩვენ მიერ განხილულ მაგალითში ჩანს, რომ ბავშვის ყვირილის ქცევის მიზანი იყო კალმის მიღება და მიაღწია კიდევ სასურველ შედეგს. ასეთ შემთხვევებში, როდესაც ქცევის შედეგი მიზანთან თანხვედრაშია, მომავალშიც უნდა ველოდოთ მსგავსი ქცევის (ამ შემთხვევაში სასურველი ნივთების წართმევა) გამოვლენას. და პირიქით, თუ ქცევის მიზანი არ დაკმაყოფილდება შედეგით, მაშინ ქცევის გამოვლენის ალბათობა შემცირდება.

თავი 2.

რთული ქცევა

არ არსებობს რთული ქცევის უნივერსალური განსაზღვრება, თუმცა, ყველაზე ფართოდ გავრცელებული განმარტების მიხედვით, ქცევა არის რთული, თუკი ის თავად ბავშვის ან მისი გარემოცვის ფუნქციონირებაზე არასასურველ გავლენას ახდენს.

იმისთვის, რომ უფრო ნათლად განისაზღვროს ქცევა არასასურველია თუ არა, შესაძლებელია გარკვეული დამხმარე კრიტერიუმების გამოყენება. აღნიშნული კრიტერიუმების თანახმად, ქცევა მაშინ არის რთული თუკი ის:

- ფიზიკურ ზიანს აყენებს თავად ბავშვს, ან მის გარშემომყოფებს. მაგალითად, ხელს, ფეხს ურტყამს თანატოლებს; ხელზე კანს იწიწკნის, თავს ურტყამს კედელს და ა. შ.
- აზიანებს ფიზიკურ გარემოს - ხევს წიგნებს, კაწრავს მერხებს, კედლებს და აკეთებს წარწერებს და ა.შ.
- ხელს უშლის თავად ბავშვს ან სხვებს სწავლასა და განვითარებაში - გაკვეთილის მსვლელობისას დგება და იწყებს სიარულს, იწყებს ყვირილს, არ იცავს რიგს და ა.შ.

- ☑ ხელს უშლის ბავშვს ასაკის შესაბამისი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში - ურტყამს ბავშვებს, უზიანებს ნივთებს, დასცინის ან უცენზურო სიტყვებით მიმართავს მათ, რის გამოც თანატოლები უარს აცხადებენ ურთიერთობაზე.
- ☑ ბავშვის ასაკისა და განვითარების საფეხურის შეუსაბამოა - 10 წლის ტიპური განვითარების ბავშვი აწყობს ტანტრუმს და ა.შ.
- ☑ გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ აღწერილი ქცევები ყოველთვის ვერ ჩაითვლება რთულად; მაგალითად, თუ რომელიმე მათგანი ერთჯერადად ვლინდება, ზოგადად კი ბავშვს მსგავსი რამ არ სჩვევია. სწორედ ამიტომ, იმისათვის რომ ქცევა ჩაითვალოს რთულად და დაიგეგმოს მის მართვაზე მუშაობა, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ თუ რა სიხშირით, ხანგრძლივობითა და ინტენსივობით ვლინდება ესა თუ ის ქცევა.
- ☑ ამასთან, ქცევის სირთულეზე შეიძლება მიუთითებდეს მისი გამოვლენის როგორც მაღალი, ისე დაბალი მაჩვენებლები. მაგალითად, არასასურველია თუკი ბავშვი გაკვეთილის განმავლობაში 3-4-ჯერ დგება და ყოველი ადგომისას 2 წუთის განმავლობაში დადის ისე, რომ კლასელების ყურადღებას იქცევს და ისინი თავს ანებებენ მუშაობას. აღნიშნული ქცევის გამოვლენა

ხელს უშლის როგორც თავად ბავშვის, ასევე, სხვების სწავლასა და განვითარებას.

ასევე, თანაბრად პრობლემურია, როდესაც ბავშვი გაკვეთილის მსვლელობისას არ სვამს კითხვას, აზრს არ გამოთქვამს, დავალებას არ ასრულებს-ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის მიერ გამოვლენილი ქცევის სიხშირე, ინტენსივობა და ხანგრძლივობა სასურველზე დაბალია.

2.1. რთული ქცევის სახეები

არსებობს რთული ქცევების მრავალფეროვანი რეპერტუარი, თუმცა, აქ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც ხშირად გვხვდება მცირე ასაკის ან განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან როგორც სახლის, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

☐ **ტანტრუმი** - ეს არის ქცევა, რომელსაც, ხშირად, ყოფით მეტყველებაში „ისტერიკას“ უწოდებენ. იგი აერთიანებს ისეთ განსხვავებულ ემოციურ-ქცევით გამოვლინებებს, როგორცაა ძლიერი ტირილი, ყვირილი, იატაკზე გაწოლა, ფეხების ბაკუნა, თავის რტყმა, გარშემომყოფების მიმართ ვერბალური და ფიზიკური აგრესია, საგნების სროლა და სხვა. ტანტრუმი ძირითადად დამახასიათებელია ტიპური განვითარების

2-3 წლის ასაკის ბავშვებისთვის. როგორც წესი, მისი გამოვლენის სიხშირე იკლებს ასაკთან ერთად. თუმცა, ტანტრუმი ხშირად გვხვდება უფროს ასაკშიც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან.

☐ **თვითდამაზიანებელი ქცევა** - მიმართულია საკუთარი სხეულის დაზიანებაზე. ამგვარ ქმედებებს შეიძლება თან ახლდეს თვითმკვლელობაზე ფიქრი; თუმცა, თვითდამაზიანებელი ქცევები მაშინაც კი სახიფათოა, როცა ბავშვს არ აქვს სუიციდური აზრები. განვითარების დარღვევების დროს თვითდამაზიანებელი ქცევები შეიძლება ემსახურებოდეს სხვების ყურადღების მიქცევას, გარემოს რთული მოთხოვნებისგან გაქცევას ან სტიმულაციას.

☐ **ნივთების დამაზიანებელი ქცევა** - საკუთარი ან სხვისი ნივთების განზრახ, მიზანმიმართული გაფუჭება, დამტვრევა, განადგურება, დასვრა და ა.შ.

☐ **სტერეოტიპული ქცევა** - მთლიანი სხეულის, სხეულის ცალკეული ნაწილების ან საგნების განმეორებადი მოძრაობები, მაგალითად, როგორიცაა ტრი-ალი, ბრუნვა, რწევა, თავის, ხელისა და ფეხების ქნევა, საგნების აქეთ-იქით ქნევა, გაღება-დახურვის მოძრაობები და სხვა. ეს ქცევები ხშირად ემსახურება თვით-სტიმულაციას, ანუ წარმოადგენს სხვადასხვა სენსორული (შეგრძნებითი) სტიმულაციის მიღების საშუალებას.

☐ **აგრესიული ქცევები** - აქ იგულისხმება ფიზიკური და ვერბალური აგრესიული ქმედებები. ფიზიკურ აგრესიაში შედის ისეთი ქცევები, რომელიც ფიზიკურ ზიანს ან ტკივილს აყენებს სხვა პირს. მაგალითად, ცემით, თმის მოწიწკვნით, წიხლის ჩარტყმით და სხვ. ხოლო ვერბალური, ანუ სიტყვიერი აგრესია მოი-აზრებს ისეთ ქცევებს, როგორიცაა ყვირილი, გინება, სიტყვიერი შეურაცხყოფა და ა.შ. განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან ასეთი აგრესიული ქცევების გამოვლენას ხელს უწყობს კომუნიკაციური და სოციალური უნარების დეფიციტი, საკუთარი იმპულსების მართვის უუნარობა და პრობლემის გადაჭრის მისაღები გზების არ ცოდნა.


☐ **პიკა** - ეს არის საკვებად უვარგისი საგნების, ნივთი-ერებების და ა.შ. პირში ჩადება და ჭამა. მცირეწლოვანი ბავშვების მსგავსი ქცევა პიკად ვერ ჩაითვლება, რადგან ისინი ამ გზით სამყაროს შეიმეცნებენ, მაგრამ თუ ეს 3 წლის შემდეგაც გაგრძელდა, უკვე რთულ ქცევასთან გვექნება საქმე. პიკა ხშირად გვხვდება განვითარების სხვადასხვა დარღვევების შემთხვევებში (მაგ. გონებ-რივი ჩამორჩენა, აუტიზმი).

☐ **დეფიციტური ქცევა** - ყველა ზემოთ განხილული რთული ქცევები წარმოადგენდა ისეთ ქცევებს, რომელთა ჭარბად გამოვლენაც პრობლემას უქმნის


ბავშვს ან მის გარშემომყოფებს ყოველდღიურ ფუნქციონირებაში. მათგან განსხვავებით, რთულ ქცევად შეიძლება მოვიაზროთ გარკვეული ქცევების დეფიციტიც. აქ იგულისხმება ისეთი ქცევების ნაკლებობა, რასაც ბავშვი უნდა ავლენდეს მისი ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით. ეს არის ე.წ. დეფიციტური ქცევა. მაგალითად, თუ ბავშვი არ კონტაქტობს თანატოლებთან, არ ამყარებს თვალით კონტაქტს, არ ერთვება საკლასო აქტივობებში, ეს იქნება დეფიციტური ქცევები.


2.2. რთული ქცევის მაპროვოცირებადი ფაქტორები


მართალია, რთული ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია, თუმცა, ისინი, როგორც წესი, ქვემოთ განხილული რომელიმე კატეგორიას უკავშირდება:


 **ბიოლოგიური/ფიზიოლოგიური ფაქტორები** - ისეთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობამ, როგორიცაა შიმშილი, წყურვილი ან სიცივე, შესაძლოა მოახდინონ რთული ქცევის პროვოცირება. ტკივილის შეგრძნება, ასევე, ზრდის, რიგ შემთხვევებში, აგრესიული ქცევის გამოვლენის ალბათობას. არასასურველი ქცევების ნაწილი კი ზოგჯერ


ემსახურება, ასევე, ე.წ. სენსორული “შიმშილის” დაკმაყოფილებას.

 **ბავშვთან დაკავშირებული ფაქტორები** - აღნიშნული კატეგორია რამდენიმე ფაქტორს აერთიანებს:

 **კომუნიკაციის სირთულეები:** რიგ შემთხვევებში, ბავშვი არასასურველ ქცევას ახორციელებს მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი აზრების ან ემოციების სხვაგვარად, სოციალურად უფრო მისაღები ფორმით გადმოცემის უნარი არ გააჩნია.

 **სოციალური წესების არ ცოდნა:** ბავშვების ნაწილის რთული ქცევა, ზოგ შემთხვევაში, იმიტომ გამოწვეულია, რომ მათ უბრალოდ არ იციან თუ რა მოლოდინები არსებობს და რისი გაკეთება მოეთხოვებათ ამა თუ იმ სიტუაციაში, მათ შორის საგაკვეთილო პროცესში.

 **ბავშვის ასაკი:** რთულ ქცევებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკი. რიგ შემთხვევებში, ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, მას შესაძლოა ჯერ არ ჰქონდეს ამა თუ იმ ქცევის განხორციელების უნარი, მაგალითად, არ გააჩნდეს საკმარისი თვითკონტროლი და ნებისყოფა, რომ დაელოდოს თავის ჯერს ან იჯდეს სკამზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

 **ემოციური მდგომარეობა:** სხვადასხვა ემოციური მდგომარეობა, განსაკუთრებით კი ისეთი, როგორიცაა

იმედგაცრუება, ბრაზი ან შფოთვა, ხშირად ქმნის მზაობას რთული ქცევის გამოვლენისთვის.

ბავშვის ოჯახთან, სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები.

ოჯახთან დაკავშირებული ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ ბავშვის რთული ქცევის პროვოცირება მოახდინონ, ფართო სპექტრს მოიცავს, თუმცა მათგან აღსანიშნავია ხშირი ოჯახური კონფლიქტების არსებობა ოჯახში, ასევე, ოჯახის წევრების არათანმიმდევრული აღზრდის სტილი, რაც გულისხმობს ბავშვისთვის განსხვავებული წესებისა და შეზღუდვების დაწესებას, ასევე, ბავშვის მხრიდან მათი დარღვევის შემთხვევაში განსხვავებული რეაგირების ტენდენციას.

ოჯახთან დაკავშირებულ განსაკუთრებით მწვავე ფაქტორს წარმოადგენს ბავშვის მიმართ განხორციელებული ფიზიკური, ემოციური თუ სექსუალური ძალადობა, რაც ზრდის ემოციური და ქცევითი სირთულეების ჩამოყალიბების რისკს.

ოჯახურ ფაქტორებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კონკრეტული ბავშვის ეთნიკური წარმომავლობა და სხვა სოციო-კულტურული ფაქტორები. ის, რაც, ერთი შეხედვით, რთულ ქცევას შეიძლება წარმოადგენდეს ერთ კულტურაში, შესაძლოა სავსებით მისაღები ქცევა იყოს მეორეში.

ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები

- საკლასო ოთახში არსებულ ფიზიკურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს იქ მყოფთა გუნება-განწყობაზე, ფორმალური თუ არაფორმალური აქტივობების მიმდინარეობაზე და გაზარდოს ან შეამციროს მოსწავლეთა მხრიდან რთული ქცევების გამოვლენის ალბათობა. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სივრცის სიდიდე ან პირიქით - სიმცირე, ხმაური, ცუდი განათლება სხვადასხვა კვლევისა და ემპირიული მონაცემების თანახმად, კავშირშია რთული ქცევის გამოვლენის ალბათობასთან.

თავი 3.

ინტელექტუალური დარღვევის მეორე ბავშვის დახმარება

ბავშვთა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლის რთული ქცევის გამოვლენა „გარდაუვალია“, რამდენადაც არ მოიძებნება ბავშვი, რომელსაც არასდროს გამოუვლენია ასეთი ქცევა. დღეისათვის ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, მათ შორის ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვს, რომ მიიღოს განათლება თანატოლებთან ერთად. მაშასადამე, 21-ე საუკუნის სკოლას მეტი მზაობა და რესურსი გააჩნია მოსწავლეთა ქცევითი საჭიროებების საპასუხოდ.

უდავოდ კარგია, როდესაც სკოლის პერსონალი კარგად არის „აღჭურვილი“ რთული ქცევების მართვის ტექნიკებით და ახერხებს მათთან გამკლავებას გამოვლენის შემთხვევაში. თუმცა, იდეალურ შემთხვევაში, სასურველია თავიდანვე იქნას ზომები მიღებული ასეთი ქცევების განვითარების პრევენციისთვის.

სკოლის გარემოში, რთული ქცევების პრევენციულ ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თავად

რთული ქცევის მქონე მოსწავლისთვის, ასევე, სხვა მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და ზოგადად განათლების სისტემისთვის. როგორი მსუბუქიც არ უნდა იყოს მოსწავლის რთული ქცევა, ის, გარკვეულ დისკომფორტს მაინც წარმოშობს სკოლაში და რაც მთავარია, ხელს უშლის თავად მოსწავლეს საგანმანათლებლო თუ სოციალურ აქტივობებში. ერთი შეხედვით „უწყინარი“ რთული ქცევაც კი შეიძლება გადაიზარდოს უმართავ, კრიზისულ სიტუაციაში, საფრთხე შეუქმნას მოსწავლესა და გარშემომყოფებს, „ჩაიშალოს საგაკვეთილო პროცესი“. სწორედ ამიტომ, სკოლაში მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მხრიდან პრევენციული ტექნიკების ეფექტური გამოყენება რთულ ქცევებთან ბრძოლის საუკეთესო იარაღად შეიძლება მოვიაზროთ.

3.1. პრევენციის ზოგადი სტრატეგიები და კონკრეტული ქმედებები

პრევენციული ღონისძიებები პირობითად შეიძლება გავაერთიანოთ 2 ძირითად კატეგორიაში, პირველი, რომელში შემავალი ქმედებებიც მიმართულია რთული ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორების იდენტიფიცირებასა და მათ მინიმუმამდე დაყვანაზე და მეორე, რომელიც გულისხმობს მოსწავლის პოზიტიური ქცევების მხარდაჭერას.

აღნიშნული მიდგომა ემყარება ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპებს, უფრო ზუსტად კი ქცევის ჩამოყალიბების ABC მოდელს, რომლის თანახმადაც, როგორც აღვნიშნეთ, ქცევა აღმოცენდება გარკვეული წინაპირობების საპასუხოდ და მისი გამოვლენის ალბათობა იზრდება ან მცირდება მიღებული შედეგების გავლენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია თავიდან ავირიდოთ რთული ქცევის გამოვლენა იმ შემთხვევაში, თუკი ვეცდებით შევცვალოთ მისი წინაპირობა ან ის შედეგი, რომელიც მის გამოვლენას ახლავს თან.

განვიხილოთ მაგალითი, როცა მასწავლებელი კითხვას სვამს, ნიკო ხელის აწევის გარეშე წამოიძახებს პასუხს. მასწავლებელი ცდილობს ნიკოს ამ ქცევის იგნორირებას, არ აქცევს მას ყურადღებას, რის გამოც ნიკო იწყებს ყვირილს ხმამაღლა „მასწავლებელო, მასწავლებელო“. მასწავლებელს არ სურს, რომ ნიკოს ყვირილმა კლასს დისკომფორტი შეუქმნას, ამიტომ მიუბრუნდება ნიკოს და აძლევს ნებას უპასუხოს. თუკი გავაანალიზებთ მოცემულ პრობლემურ ქცევას (ყვირილი გაკვეთილზე), ABC მოდელის მიხედვით, ვნახავთ რომ წინაპირობა ამ შემთხვევაში არის მასწავლებლის მიერ ნიკოს პასუხის იგნორირება. ხოლო, საბოლოოდ, ნიკოს ყვირილის ქცევის შედეგი არის მასწავლებლის მიერ ნების დართვა

უპასუხოს კითხვაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ნიკო სწორედ რთული ქცევით იღებს მისთვის სასურველს.

მოცემულ შემთხვევაში, წინაპირობის ცვლილებით პრევენცია მოხდებოდა თუ მასწავლებელი კითხვის დასვამდე გააფრთხილებდა ნიკოსაც და სხვა მოსწავლეებსაც, რომ პასუხის გაცემის სურვილის შემთხვევაში უნდა აიწიონ ხელი და დაელოდონ მასწავლებლის ნებართვას.

შედეგის დონეზე ჩარევა კი იქნებოდა მასწავლებლის მხრიდან ნიკოს ყვირილის იგნორირება და პასუხის ნების დართვა შექებასთან ერთად მხოლოდ ხელის აწევის შემთხვევაში.

თუ მასწავლებელი კარგად იცნობს ბავშვს და იცის წარსულში რა ფაქტორები, რა წინაპირობები უწყობდა ხელს მოსწავლის რთული ქცევების აღმოცენებას, მაშინ მას შეუძლია დაფიქრდეს, შეუძლია თუ არა ამ წინაპირობების შეცვლა და ამისკენ მიმართოს ძალისხმევა და, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოს ჩარევა. რაც შეეხება ჩარევას შედეგების დონეზე, შეიძლება გაჩნდეს კითხვა: თუ პრევენცია გულისხმობს რთული ქცევის გამოვლენის თავიდან აცილებას, მაშინ როგორ შეიძლება ჩაითვალოს შედეგების ეტაპზე ჩარევა პრევენციულ ღონისძიებად? საქმე იმაშია, რომ მართალია ამ გზით ვეღარ აღვკვეთთ უკვე განხორციელებულ კონკრეტულ ქცევას, თუმცა, ამ

ქცევაზე სწორი რეაგირებით შეგვიძლია მოვახდინოთ მსგავსი ქცევების თავიდან აცილება მომავალში.

ქვემოთ განვიხილავთ ზოგიერთ პრევენციულ სტრატეგიას, რაც პროაქტიულ ჩარევას გულისხმობს, ანუ წინასწარი ღონისძიებების გატარებას სკოლაში. ესენია:

- ✓ წესების შემუშავება
- ✓ მითითებებისა და ინსტრუქციების მიცემა
- ✓ მოდელირება
- ✓ კომუნიკაციის ხელშეწყობა
- ✓ კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- ✓ მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა
- ✓ ყურადღების გადატანა

კლასის წესები

გარდა იმისა, რომ სკოლას უნდა ჰქონდეს მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, რეკომენდებულია შემუშავდეს კლასის წესები ყველა კლასისათვის. წესების შემუშავებისას გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

😊 მნიშვნელოვანია თავად მოსწავლეებიც ჩავართოთ წესების შემუშავების პროცესში. ამ შემთხვევაში მოსწავლეები უკეთესად გაიაზრებენ მოცემული წესის მნიშვნელობას და უფრო დაიცავენ მას.

- 😊 წესები ფორმულირებული უნდა იყოს ბავშვისთვის გასაგები, მარტივი ფორმით.
- 😊 წესები უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას გამოკრული, უმჯობესია ტექსტთან ერთად წარმოდგენილი იყოს ვიზუალური მიმანიშნებლები სიმბოლოების ან ნახატების სახით.
- 😊 წესების ნუსხა არ უნდა იყოს ძალიან გრძელი. ბევრი წესის დამახსოვრება შეიძლება გაუჭირდეთ ბავშვებს, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის კლასებში. წესების ოპტიმალური ოდენობა, საშუალოდ, არის 5.

კლასის მოქცევის წესები

- 1 როდესაც რაღაცის თქმა გვინდა, ვიწვეთ ხელს
- 2 როდესაც ერთი საუბრობს, დანარჩენები ვუბნენთ
- 3 ზარის დარეკვის შემდეგ, ვსხდებით ჩვენს ადგილებზე
- 4 ვიღებთ ნებართვას სხვისი ნივთის აღებამდე
- 5 ვიცავთ სისუფთავეს კლასში
- 6 ვიცვათ კლასის წესებს

- ☺ შესაძლებელია წესების შეცვლა, ან ახალი წესების შემოტანა ამისი საჭიროების შემთხვევაში (კვლავ მოსწავლეების თანამონაწილეობით).
- ☺ წესი უნდა იყოს გონივრული და შესრულებადი მოსწავლეთა ასაკის, განვითარებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.
- ☺ რეკომენდებულია წესების ფორმულირება პოზიტიური ფორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს უნდა უთითებდეს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს, და არა იმას, თუ რისი გაკეთება არ შეიძლება. მაგალითად, ნაცვლად წესებისა, არ იყვიროთ კლასში“, „არ ირბინოთ კლასში“, წესი უნდა იყოს ფორმულირებული შემდეგნაირად: „დაიცავით სიჩუმე“, „ისაუბრეთ დაბალ ხმაზე“, „ირბინეთ მხოლოდ დერეფანში შესვენებაზე“
- ☺ მასწავლებელმა უნდა შეახსენოს წესები მოსწავლეებს, გასცეს ინსტრუქციები და მითითებები მათ შესასრულებლად, წაახალისოს და განამტკიცოს წესების შესრულება სისტემატურად.
- ☺ მასწავლებელი უნდა იყოს სამართლიანი და თანმიმდევრული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველას თანაბრად და სისტემატურად უნდა მოსთხოვოს წესების დაცვა. გამონაკლის შემთხვევებში უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ ეს გამონაკლისია და ამასთან, დაფიქსირდეს ამის მიზეზი.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში, ხშირად, მოსწავლეები მაშინ ავლენენ რთულ ქცევას, როდესაც ნაკლებად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, პასიურად სხედან ან არ აინტერესებთ საკითხი. ამიტომ, მასწავლებელი უნდა შეეცადოს რომ საგაკვეთილო პროცესი დატვირთული იყოს საინტერესო, კრეატიული აქტივობებით, რომლებიც მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას საჭიროებს.

კიდევ ერთი გზა რთული ქცევის პრევენციისთვის არის ბავშვის მიერ ყურადღების გადატანა სხვა რამეზე, როდესაც მასწავლებელი ხედავს რთული ქცევის აღმოცენების მოსალოდნელობას. მაგალითად, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს მასთან მივიდეს და დაეხმაროს რვეულების შეგროვებაში, როდესაც შენიშნავს, რომ მოუვიდა უთანხმოება მის გვერდით მჯდომ მოსწავლესთან, რაც შეიძლება გადაიზარდოს ვერბალურ ან ფიზიკურ აგრესიაში. ამ გზით მასწავლებელი ცდილობს განმუხტოს სიტუაცია და თავიდან აირიდოს მოსწავლის იმპულსური გამოვლინება რთული ქცევის სახით.

სოციალური უნარების სწავლება და ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა, ასევე, მნიშვნელოვანი სტრატეგიაა რთული ქცევების შესამცირებლად სკოლის გარემოში. აქ იგულისხმება ისეთი ქცევების სწავლება, რომლებიც სოციალურად მისაღებია და გამოადგებათ არა მხოლოდ სკოლის გარემოში, არამედ - ყველგან, მთელი

ცხოვრების მანძილზე. ასეთია, მაგალითად, საუბარში ან თამაშში ჯერის დაცვა, მისაღება და დამშვიდობება გარშემომყოფებთან, დისკუსიაში მონაწილეობა და საკუთარი აზრის მისაღები ფორმით დაფიქსირება და სხვა.

ასევე, მნიშვნელოვანია, სკოლის გარემოში მუშაობა წარმართოს მოსწავლეთათვის ბრაზის, სტრესის მართვის, ინტერპერსონალური ურთიერთობების უნარების, კონფლიქტის გადაჭრის უნარების განვითარებაზე, რაშიც მასწავლებლებს ფსიქოლოგებმა უნდა გაუწიონ დახმარება.

და, ბოლოს, ყველასთვის ცნობილია, რომ ბავშვი ბევრ რამეს სხვისი ქცევის მოდელირებით, ანუ გამეორებით, მიბამვით სწავლობს. ამიტომ მასწავლებელი უნდა იყოს მაგალითი მისაღები ქცევებისა. თუ მასწავლებელი დასცინის რომელიმე მოსწავლეს ვარცხნილობის გამო, ეს შეიძლება გახდეს მისაბაძი ქცევა სხვა მოსწავლეებისთვისაც. მასწავლებელი, უმეტეს შემთხვევაში, ავტორიტეტია მოსწავლისათვის, და ბუნებრივია, მისი ქცევა ბავშვის მიერ აღიქმება როგორც მისაღები და მისაბაძი.

3.2. ფიზიკური გარემოს ორგანიზება

რთული ქცევის პრევენციის ერთ-ერთ გზას ასევე წარმოადგენს ფიზიკური გარემოს ორგანიზება.

ცალკეული სივრცეების ორგანიზება: სასურველია საკლასო ოთახში გამოყოფილი იყოს სხვადასხვა სივრცე შესაბამისი აქტივობებისთვის, მათ შორის კუთხე, სადაც საჭიროების შემთხვევაში ბავშვს განმარტოება შეეძლება დამშვიდების მიზნით. საკლასო ოთახში განლაგებული მერხები კი ისე იყოს ორგანიზებული, რომ იძლეოდეს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური აქტივობების განხორციელების საშუალებას.

საინფორმაციო ნიშნები. როგორც უშუალოდ საკლასო ოთახში, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მთელ ტერიტორიაზე, დერეფნებში, კაფეტერიაში თუ საპირფარეოსთან არსებული სხვადასხვა ტიპის მიმანიშნებლების არსებობა, ეფექტურია რთული ქცევის პრევენციის თვალსაზრისით, რადგან ისინი ხაზს უსვამენ კონკრეტულ გარემოში არსებულ მოლოდინებს.

განათება და ფერები. გუნება-განწყობილებასა და ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საკლასო ოთახის ფერთა შეთანხმება და იქ არსებული განათება. ფერები და ფერთა კონტრასტები ხელს უწყობს გარემოს დეტალების უკეთ აღქმას.

თანამშრომლობა: სასწავლო თუ სამასწავლებლო სივრცეს, როგორც წესი, რამდენიმე პირი იზიარებს, ამიტომ ფიზიკური გარემოს ორგანიზებისთვის უმნიშვნელოვანესია არსებობდეს მათ შორის თანამშრომლობა. ცალკეული აქტივობებისთვის გარემოს მოდიფიკაციის პროცესში შესაძლოა, ჩავრთოთ ბავშვებიც.

ინდივიდუალური საჭიროებები. მნიშვნელოვანია, ოთახის სივრცის ორგანიზებისას გათვალისწინებულ იყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საჭიროებები. მაგალითად, სკამებს შორის უნდა იყოს საკმარისი მანძილი, რათა ბავშვმა შეძლოს ეტლით გადაადგილება.

თავი 4.

ქვევის მართვა სკოლაში

ყველაზე ზოგადი განმარტების თანახმად, ქვევის მართვა/მოდიფიკაცია გულისხმობს ქვევის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, სპეციფიკური ტექნიკების გამოყენებით კონკრეტული ქვევის გამოვლენის გაზრდას, ან შემცირებაზე მუშაობას. ქვევის მართვის პროცესში მრავალი კომპონენტია და, როგორც წესი, მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- ☀ არასასურველი ქვევის იდენტიფიკაცია
- ☀ მისი ჩამანაცვლებელი ქვევის განსაზღვრა
- ☀ განმამტკიცებლის გამოყენებით სასურველი ქვევის გაზრდა.
- ☀ გარემოში ქვევაზე ნეგატიურად ზემოქმედი ფაქტორების შემცირება.

ქვევის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია ჩართული იყოს როგორც ფსიქოლოგი, ასევე - სპეციალური მასწავლებელი, დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები და მშობლები/ბავშვზე ძირითადი მზრუნველი პირები.

ქვევის მართვის პირველ ეტაპს შეფასება წარმოადგენს. შეფასებისას ხდება ქვევასთან დაკავშირებული ფაქტორების შესახებ მონაცემის შეგროვება და მიღებული

ინფორმაციის ანალიზის შედეგად ქცევის მართვის სტრატეგიის განსაზღვრა.

ქცევის შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების როგორც პირდაპირი (ქცევის სხვადასხვა მახასიათებელზე პირდაპირი დაკვირვება), ასევე, არაპირდაპირი მეთოდები. (ინტერვიუ ბავშვის ძირითად მზრუნველთან, დამრიგებელთან და ბავშვთან დაკავშირებულ სხვა პირებთან, წერილობითი დოკუმენტაციის ანალიზი)

როგორც წესი, შეფასების პროცედურა იწყება ბავშვის ძირითადი მზრუნველი პირის ინტერვიუთი, ბავშვის ქცევასთან დაკავშირებით, რომლის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვება ბავშვის მიერ გამოვლენილი რთული ქცევების შესახებ. კერძოდ, კი:

- ☆ პრობლემის იდენტიფიკაცია - რა ფორმით ვლინდება რთული ქცევა და რატომ არის ის ხელისშემშლელი თავად ბავშვისთვის ან გარშემომყოფებისთვის.
- ☆ სხვა პრობლემები - გარდა ბავშვის მიერ გამოვლენილი რთული ქცევებისა, ხომ არ აღენიშნება ბავშვს სხვა სირთულეებიც.
- ☆ პრიორიტეტების გამოკვეთა - მნიშვნელოვანია, ინტერვიუს შედეგად, მივიღოთ ინფორმაცია, თუ რომელი რთული ქცევის შემცირებას ისურვებდა, პირველ რიგში, რესპონდენტი. მაგალითად, თუ

რესპონდენტი არის კლასის დამრიგებელი, რომელმაც პრობლემის იდენტიფიცირებისას ისაუბრა ბავშვის მიერ გამოვლენილ რამდენიმე ქცევაზე: გაკვეთილზე საუბარი, მერხის დაკაწვრა და ხელზე კანის წიწკვნა. მას უნდა ვთხოვოთ განსაზღვროს ზემოთ ჩამოთვლილი სამი ქცევიდან, რომელზე მუშაობის დაწყება მიაჩნია პრიორიტეტად.

- ☆ ასევე, მნიშვნელოვანია ინფორმაცია მივიღოთ იმის შესახებ, თუ რისი შეცვლა სურს რესპონდენტს, რა ქცევების გამოვლენას ისურვებდა ბავშვის მიერ, ნაცვლად არასასურველი ქცევების გამოვლენისა.
- ☆ ინტერვიუს პროცესში მიღებული ინფორმაცია შესაძლოა, დაგვეხმაროს ბავშვის ძლიერი მხარეების განსაზღვრაში და მისი პირადი ინტერესების დადგენაში, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება შეირჩეს კონკრეტული ბავშვისთვის განმამტკიცებლების კატეგორია.

ბავშვთან დაკავშირებული პირებისგან ინფორმაციის მიღების შემდეგ, მნიშვნელოვანია განხორციელდეს ქცევაზე უშუალოდ დაკვირვება. სამიზნე ქცევის ზუსტი განსაზღვრისა და მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, უნდა განხორციელდეს ქცევაზე პირველადი დაკვირვება, რაც გულისხმობს ბავშვზე დაკვირვების განხორციელებას იმ გარემოში, სადაც მისი ქცევა აღიქმება პრობლემურად.

პირველადი დაკვირვების განხორციელების შემდეგ, უნდა შემუშავდეს ქცევითი განმარტება და განისაზღვროს არასასურველი ქცევების ჩამონათვალი. ქცევის განმარტება გულისხმობს სამიზნე/დასაკვირვებელი ქცევის აღწერას მარტივი, არა შეფასებითი სიტყვების გამოყენებით.

მაგალითად, ერთ შემთხვევაში მასწავლებელმა შეიმუშავა შემდეგი განმარტება: ნინო აგრესიულია თანატოლების მიმართ. აღნიშნული განმარტება ძალიან ბუნდოვანია და არ გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, კონკრეტულად რა სახის არასასურველ ქცევას ავლენს ნინო. მეორე შემთხვევაში, მასწავლებელმა შეიმუშავა შემდეგი განმარტება: ნინო თანატოლებს ხელს ურტყამს. პირველისგან განსხვავებით, მეორე შემთხვევაში ძალიან ცხადი და თვალსაჩინოა, თუ რა ფორმით ვლინდება ქცევა.

ქცევის სპეციფიკური განმარტების შემუშავება, ქცევაზე ზუსტი ინფორმაციის მიღებისთვის, არის მნიშვნელოვანი. ბუნდოვანი, ზოგადი განმარტების შემთხვევაში რთული ხდება სამიზნე ქცევის დიფერენცირება, როგორც დამკვირვებლისთვის, ასევე ქცევის მართვის პროცესში ჩართული ნებისმიერი სხვა პირისთვის.

მას შემდეგ, რაც ქცევის მართვის გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი რთული ქცევების ჩამონათვალს შეადგენს, მან უნდა განსაზღვროს ის სასურველი ქცევები,

რომლებსაც სურს, რომ ბავშვი არასასურველი ქცევების სანაცვლოდ ავლენდეს.

მაგალითად:

არასასურველი ქცევები	სასურველი, ჩამონაცვლებელი ქცევები
არ ასრულებს საშინაო დავალებას	საშინაო დავალების შესრულება
ხელის აწევის გარეშე წამოიძახებს პასუხს	ხელს იწევს და შემდეგ ამბობს პასუხს

გარდა რთული ქცევის ზუსტი აღწერისა და მისი ჩამონაცვლებელი სასურველი ქცევების მოფიქრებისა, რთული ქცევის შეცვლაზე მუშაობისთვის საჭიროა ამ ქცევის გაზომვა მის მახასიათებლებზე დაყრდნობით.

ქცევის სიხშირის დასადგენად, დროის კონკრეტულ მონაკვეთში, მაგალითად, გაკვეთილის, შესვენების, დღის განმავლობაში ქცევის ყოველი გამოვლენისას აღინუსხება. მაგალითად, გიორგიმ გაკვეთილის მსვლელობისას ხელის აწევის გარეშე 3-ჯერ წამოიძახა პასუხი.

ქცევის ხანგრძლივობის დასადგენად ითვლება, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ქცევა. მაგალითად, თამარი 5 წუთის განმავლობაში დადიოდა მერხებს შორის.

ქცევის ინსტენსივობის გასაზომად კი განისაზღვრება ის, თუ რამდენად ძლიერად ვლინდებოდა ქცევა. მაგალითად,

ნინო იმდენად ხმაამალა ყვიროდა, რომ გვერდით არსებულ საკლასო ოთახში ისმოდა მისი ხმა.

ABC მოდელი

შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცედურას ქცევაზე ABC მოდელის მიხედვით დაკვირვება წარმოადგენს. ამ მოდელის საშუალებით, შესაძლებელია ქცევის წინაპირობისა და მისი თანმდევი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება დამიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იმის განსაზღვრა, თუ რა ფუნქციას ემსახურება ქცევა, ანუ რის მიღებას ცდილობს ბავშვი არასასურველი ქცევით.

წინაპირობა არის ნებისმიერი მოვლენა, რომელიც წინ უსწრებს ქცევას. ქცევის წინაპირობა შეიძლება იყოს: კონკრეტული აქტივობა, მაგალითად, კარნახით წერა; დღის, გაკვეთილის, აქტივობის მონაკვეთი, მაგალითად, დიდი შესვენება, გაკვეთილის მეორე ნახევარი; და ა.შ.

შედეგი არის ნებისმიერი მოვლენა, რომელიც თან სდევს ქცევას. ქცევის თანმდევი შედეგი შეიძლება იყოს: მასწავლებლის ყურადღება, როგორც პოზიტიური (შექება, გადიმება), ასევე ნეგატიური (შენიშვნის მიწოდება); თანატოლების ყურადღება. მოზრდილის მიერ ბავშვის გამოვლენილი ქცევის იგნორირებას ქცევის თანმდევ ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს. ის, თუ რა მოჰყვება ქცევას

შედეგად, ანუ ინდივიდისთვის სასურველია შედეგი, თუ არასასურველი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მომავალში ამ ქცევის გამოვლენის ალბათობას.

ქვემოთ მოცემულია ABC მოდელის მიხედვით დაკვირვების ფორმის ნიმუში

მოსწავლის სახელი:

დამკვირვებელი:

დაკვირვების თარიღი:

დაკვირვების ადგილი:

სამიზნე ქცევა (არასასურველი ქცევა, რომელსაც ვაკვირდებით):

წინაპირობა (ნებისმიერი მოვლენა რომელიც წინ უსწრებს ქცევას)	ქცევა (ქცევის დეტალური აღწერა)	შედეგი (ნებისმიერი მოვლენა, რომელიც თან სდევს ქცევას)
--	--	---

ქცევის წინაპირობასა და შედეგზე დაკვირვების წარმოების შემდეგ, უნდა მოხდეს მიღებული შედეგების ანალიზი და განისაზღვროს თუ რომელი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ხდება ქცევის გამოვლენა და რა შედეგების არსებობა ზრდის მომავალში ქცევის გამოვლენას.

წინაპირობის შეცვლით ქცევა აღარ გამოვლინდება, ხოლო თუკი, არასასურველი ქცევის გამოვლენას მოჰყვებოდა ბავშვისთვის სასურველი შედეგი, უნდა მოხდეს მისი ცვლილება და შედეგი აღარ უნდა იყოს დამაჯილდოვებელი.

4.1. ქცევის მიზანი/ფუნქციის განსაზღვრა



როგორც აღვნიშნეთ, პიროვნების კონკრეტულ ქცევას ყოველთვის გააჩნია გარკვეული მიზანი, ფუნქცია. შესავამისად, შეფასების შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს თუ რას ემსახურება ბავშვის კონკრეტული ქცევა. მიჩნეულია, რომ რთული ქცევის გამოვლენა ორ ძირითად მიზანს ემსახურება:

1. ბავშვი კონკრეტული ქცევის გამოვლენით ცდილობს მიიღოს მისთვის სასურველი:

- ნივთი (მაგალითად, თანატოლის კუთვნილი კალამი, სათამაშო და ა.შ.)
- აქტივობაზე ხელმისაწვდომობა (მაგალითად, გაკვეთილიდან გასვლა და ა.შ.)
- ყურადღება (მაგალითად, მშობლების, მასწავლებლის, თანატოლების ყურადღება)
- სენსორული სტიმულაცია - ისეთი ქცევის განხორციელება, რომელიც ბავშვისთვის სასურველ შეგრძნებებს იწვევს. მაგალითად, სკამზე წინ და უკან რწევა და ა.შ.)

სხვა - კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის მიერ გამოვლენილი არასასურველი ქცევა შესაძლოა სხვა მისთვის მნიშვნელოვანი სტიმულის მიღებას ემსახურებოდეს.

2. ბავშვი კონკრეტული ქცევის გამოვლენით ცდილობს თავი აარიდოს:

-  აქტივობას (მაგალითად, კონკრეტული დავალების შესრულებისგან თავის არიდება)
-  არასასურველ სტიმულაციას (მაგალითად, ხმაურს, განათებას და ა.შ.)

4.2. მისაღები ქცევის გამოვლენის გაზრდის სტრატეგიები

დადებითი განმტკიცების პროცედურა ქცევის მართვის აუცილებელ ტექნიკას წარმოადგენს, რადგან ის ეფექტური გზაა ახალი ქცევის ჩამოსაყალიბებლად ანუ იმისათვის, რომ ბავშვმა უფრო ხშირად გამოავლინოს სასურველი ქცევა. დადებითი განმტკიცების პრინციპის თანახმად, თუკი ადამიანის მიერ გამოვლენილ ქცევას მისთვის სასურველი შედეგი მოყვება, ეს ზრდის მომავალში ამ ქცევის გამოვლენის ალბათობას. მაგალითად, თუ ბავშვი იცავს რიგს და მასწავლებელი აქებს მის მიერ გამოვლენილი ქცევის გამო, დიდი ალბათობით, ის შემდგომშიც ეცდება დაიცვას რიგი.



დადებითი განმამტკიცებელი კი არის კონკრეტული სტიმული, რომელიც თან ახლავს ქცევას და ზრდის მისი გამოვლენის ალბათობას. მნიშვნელოვანია, რომ ეს სტიმული იყოს ბავშვისთვის სასურველი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ შეასრულებს განმამტკიცებლის ფუნქციას, ანუ მომავალში მსგავსი ქცევის გამოვლენის ალბათობა არ გაიზრდება.

უნივერსალური განმამტკიცებელი არ არსებობს, რადგან ყველა ბავშვის სურვილები და ინტერესები განსხვავებულია. მნიშვნელოვანია, კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში ინდივიდუალურად განვსაზღვროთ, თუ რა შეიძლება იყოს მისთვის სასურველი განმამტკიცებელი (წამახალისებელი, ჯილდო). თუმცა, არსებობს განმამტკიცებლების ზოგადი კატეგორიები.

კვებითი განმამტკიცებლები - ტკბილეული, წვენი და ა.შ. კვებითი განმამტკიცებლის გამოყენება გარკვეულ

პირობებთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ, რომ ბავშვი არ არის ალერგიული კონკრეტული საკვების მიმართ, ან ჯანმრთელობის სხვა მდგომარეობის გამო არ არის მისთვის კონკრეტული საკვების მიღება მიზანშეწონილი. ასევე, კვებითი განმამტკიცებლის მიწოდება უნდა მოხდეს მცირე პორციებით. გარდა ამისა, არ არის მიზანშეწონილი კვებითი განმამტკიცებლის გამოყენება, როდესაც ბავშვი თანატოლების გარემოცვაში იმყოფება. კვებითი განმამტკიცებლის გამოყენება უფრო ეფექტურია ინდივიდუალური მუშაობის პროცესში.

მატერიალური განმამტკიცებელი - ნებისმიერი მატერიალური ნივთი, როგორცაა სათამაშო, რომელიც ბავშვისთვის არის სასურველი. მსგავსად კვებითი განმამტკიცებლისა, არაა რეკომენდებული მატერიალური განმამტკიცებლის ჯგუფში მუშაობისას გამოყენება.

აქტივობითი განმამტკიცებელი - ნებისმიერი აქტივობა, რომელიც სასურველია ბავშვისთვის. მაგალითად, ფეხბურთის თამაში, წიგნის კითხვა და ა.შ.

გადაცვლადი განმამტკიცებელი - სტიკერები, რომელთა დაგროვება და შემდეგ სხვა ტიპის განმამტკიცებელში გადაცვლა არის შესაძლებელი. გადაცვლადი განმამტკიცებლის გამოყენებისას, ბავშვს ნათლად უნდა გან-

ვუმართოთ გადაცვლის წესები - რომელი ქცევის გამოვლენაა მისგან მოსალოდნელი, რას მიიღებს სანაცვლოდ და რამდენი სტიკერის დაგროვების შემთხვევაში შეეძლება მისთვის სასურველ აქტივობაში გადაცვლა.




ბავშვის მიერ შერჩეული განმამტკიცებელი, რომელიც გადაცვლის დაგროვილ ჟეტონებს/სტიკერებს



სოციალური განმამტკიცებელი - შექება, გაღიმება და ა.შ. მიიჩნევა, რომ სოციალური განმამტკიცებელი არის უნივერსალური, რადგან სხვა კატეგორიის განმამტკიცებლებისგან განსხვავებით, არ საჭიროებს განსაკუთრებულ ძალისხმევას, რესურსებს. სოციალური განმამტკიცებლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს პრივილეგიის მინიჭება, რაც გულისხმობს ბავშვისთვის დამატებითი დროის, თავისუფლების მიწოდებას.

განმამტკიცებლის შერჩევა უნდა მოხდეს ბავშვის ინტერესებსა და სურვილებზე დაკვირვებით. არ არსებობს უნივერსალური განმამტკიცებელი, რომელიც ეფექტურად იმუშავებს ყველა ბავშვისთვის. განმამტკიცებელი იცვლება ასაკის, სქესის, კულტურისა და გამოცდილების მიხედვით.

გარდა განმამტკიცებლის სწორად შერჩევისა, ასევე, მნიშვნელოვანია მოხდეს მათი სწორად მიწოდება. ქვემოთ მოცემულია განმამტკიცებლის მიწოდების ძირითადი პრინციპები:

-  **განმამტკიცებელი მიაწოდეთ დროულად.** განმამტკიცებელი უნდა მივაწოდოთ სასურველი ქცევის გამოვლენისთანავე. გადავადების შემთხვევაში, ის დაკარგავს თავის ფუნქციას.
-  **შეზღუდეთ განმამტკიცებლის ხელმისაწვდომობა სხვა გარემოში.** თუკი თქვენ განმამტკიცებლად იყენებთ კონკრეტულ სტიმულს და ბავშვისთვის აღნიშნული სტიმული, სხვა შემთხვევაში, გარემოში ხელმისაწვდომია, ის დაკარგავს განმამტკიცებლის ფუნქციას.
-  **შეარჩიეთ რამდენიმე განმამტკიცებელი:** თუკი თქვენ ერთსა და იმავე განმამტკიცებელს ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენებთ, შესაძლოა ის ბავშვს მობეზრდეს, ანუ მისთვის აღარ იყოს აქტუალური და,


შესაბამისად, განმამტკიცებელმა დაკარგოს თავისი ფუნქცია. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ თქვენ შეარჩიოთ რამდენიმე განმამტკიცებელი და ცვალოთ ისინი.

შეამცირეთ, გამოხშირეთ განმამტკიცებლები. დროთა განმავლობაში, მას შემდეგ რაც ბავშვი უფრო ხშირად გამოავლენს სასურველ ქცევას, შეამცირეთ განმამტკიცებლები, რათა თავიდან აიცილოთ მათზე დამოკიდებულება.

განმამტკიცებლების დაწყვილება. თუ თქვენ ახალი ქცევის სწავლებას იწყებთ კვებითი ან მატერიალური განმამტკიცებლით, შეაწყვილეთ ისინი შექებასა და სხვა სოციალური კატეგორიის განმამტკიცებელთან. განმამტკიცებლების გამოხშირვის ეტაპზე ეს საშუალებას მოგცემთ შეამციროთ კვებითი და მატერიალური განმამტკიცებელი და გამოიყენოთ სოციალური, რომელიც განსაკუთრებულ ძალისხმევას და დანახარჯებს არ მოითხოვს.

4.3. რთული ქცევის პრევენცია სკოლაში

მრავალწლიანი მეცნიერული კვლევებისა თუ ემპირიული მონაცემების საფუძველზე, ფსიქოლოგები თანხმდებიან შემდეგზე: დასჯის მეთოდების გამოყენება არათუ მიზანშეწონილი სტრატეგიაა სკოლის გარემოში რთული ქცევების შესამცირებლად, არამედ სხვადასხვა ნეგატიურ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. ისმის კითხვა: მაშ, რასახის რეაგირება არის რეკომენდებული მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის რთულ ქცევაზე საპასუხოდ? ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე სტრატეგიას, რომელიც მიმართულია არასასურველი ქცევების გამოვლენის შემცირებაზე.



დაგეგმილი იგნორირება.

დაგეგმილი იგნორირება არ გულისხმობს მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის პიროვნების იგნორირებას, ან მისი საჭიროებების უგულვებელყოფას. დაგეგმილი იგნორირებაში მოიაზრება ის, რომ როდესაც ბავშვი ავლენს რთულ ქცევას, მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას, რადგან ხშირად ყურადღება, დადებითი იქნება თუ უარყოფითი, ბავშვისათვის განმამტკიცებელს წარმოადგენს. მაგალითად, თუ მოსწავლე იწყებს სტვენას, რათა მოიპოვოს მასწავლებლის ყურადღება, რომელიც სრულიად მოცულია სხვა მოსწავლეებთან კომუნიკაციით, მისი მხრიდან საყვედურიც კი ბავშვისათვის იქნება „დამაჯილდოებელი“ ფაქტორი. მის სტვენაზე მასწავლებლის რეაგირებით ბავშვი დაისწავლის, რომ ამით შესაძლებელია ყურადღების მიღება და მომავალშიც გაიმეორებს ამას.

აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი იგნორირების ტექნიკას გააჩნია ერთი თავისებურება- ხშირად, მისი გამოყენების დასაწყისში მან შესაძლოა ქცევის გაუარესებაც კი გამოიწვიოს, მაგალითად მასწავლებლის მხრიდან ქცევის იგნორირების შემთხვევაში, ბავშვმა შესაძლოა უფრო ხმამაღლა დაიწყოს სტვენა, დაუმატოს კაკუნი მერხზე და ა.შ. მაგრამ თუ მასწავლებელი შეძლებს იყოს თანმიმდევრული, შეინარჩუნოს სიმშვიდე და განაგრძოს

იგნორირება, ბავშვი მიხვდება, რომ მის ქცევას აზრი არ აქვს, ის ამით ყურადღებას მაინც ვერ მიიღებს და საბოლოოდ შეწყვეტს ქცევას.

დაგეგმილი იგნორირებისა და დადებითი განმტკიცების მეთოდების შეწყვილება ბევრად უფრო ეფექტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ არასასურველი ქცევის იგნორირების გამოყენებასთან ერთად მნიშვნელოვანია მოხდეს სასურველი ქცევის დადებითი განმტკიცება, რათა რთული ქცევები ჩანაცვლდეს მისაღები ქცევებით. მაგალითად, თუ პირველი კლასის მოსწავლე საკუთარ სურვილს გამოხატავს ტირილით და არა-სიტყვით, მასწავლებელმა უნდა მოახდინოს მისი ამ ქცევის იგნორირება, ხოლო როგორც კი ბავშვი ტირილის გარეშე იტყვის თუ რა უნდა, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ ქცევის განმტკიცება.

დაგეგმილი იგნორირების ტექნიკას გააჩნია გარკვეული შეზღუდვები. ამ ტექნიკის გამოყენება მასწავლებლის მხრიდან ყოველთვის გამართლებული და ეფექტური ვერ იქნება. მისი ეფექტურობა მოსალოდნელია მაშინ, როდესაც მოსწავლის ქცევა ემსახურება ყურადღების მიპყრობას, მაგრამ თუ ბავშვის ქცევის მიზანი სხვაა, მაშინ დაგეგმილი იგნორირება ეფექტური არ იქნება. გარდა ამისა, დაუშვებელია დაგეგმილი იგნორირების გამოყენება როცა მოსწავლე თავისი ქცევით საფრთხეს

უქმნის საკუთარ თავს ან სხვას, მაგალითად, თუ ადის ფანჯარაზე ან ურტყამს სხვას.



ბუნებრივი შედეგების მეთოდი.

წარმოდგენილი მეთოდი მოსწავლეს საშუალებას აძლევს გამოსცადოს საკუთარი ქცევის განხორციელებით მიღებული ბუნებრივი შედეგები. მაგ. თუ მოსწავლე საკონტროლო წერის დროს ერთობა ფანჯრიდან ყურებით, ბუნებრივი შედეგი იქნება ის, რომ ვერ მოასწრებს ნაშრომის დასრულებას და საკონტროლო სამუშაოში ცუდ ნიშანს მიიღებს. სწორედ იმის გამო, რომ ბავშვი საკუთარი ქცევით, სასურველი შედეგის ნაცვლად, ნეგატიურ განცდებს მიიღებს, „ისწავლის“ იმას, რომ უმჯობესია კონცენტრირდეს საკლასო აქტივობაზე, ვიდრე დრო ფუჭად გაიყვანოს.

უნდა ითქვას, რომ ბუნებრივი შედეგების მეთოდის გამოყენება ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი და

ეთიკური. მაგალითად, ცხადია, ვერავინ დაუშვებს იმას, რომ მოსწავლე ავიდეს ფანჯარაზე და გადმოვარდნით „ისწავლოს“ თუ რა მოყვება მის ასეთ ქმედებას. ამიტომ, წარმოდგენილი მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, თუ ქცევის შედეგი არ შეუქმნის არავის საფრთხეს.



ლოგიკური შედეგების მეთოდი.

აღნიშნული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში მოსწავლე თავისი არასასურველი ქცევის შედეგად იღებს არც თუ ისე სახარბიელო შედეგს, რომელსაც მასწავლებელი განსაზღვრავს. მაგალითად, თუ მოსწავლე შეგნებულად დასვრის მაგიდას, მასწავლებელი გააწმენდინებს მას. მოცემული მეთოდის მთავარი წესი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა იყოს ლოგიკური კავშირი შედეგსა და ბავშვის მიერ განხორციელებულ ქცევას შორის. თუ მასწავლებელი ბავშვს დასვრილი მაგიდის სანაცვლოდ არ მისცემდა

ნებას შესვენებაზე დერეფანში გასულიყო, ეს იქნებოდა დასჯა და არა - ლოგიკური შედეგების მეთოდი, რამდენადაც არანაირი ლოგიკური კავშირი არ არის მაგიდის დასვრასა და შესვენებაზე გართობას შორის. ამასთან, ლოგიკური შედეგი სწორად უნდა იქნას შერჩეული, ის უნდა იყოს ჩადენილი ქცევის პროპორციული და ბავშვის ძალებს არ უნდა აღემატებოდეს. მაგალითად, თუ ბავშვი დაამსხვრევს სათამაშოს, არა გონივრული იქნება მოვთხოვით მისი „გამთელება“.

ყურადღების გადატანა.



აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მაშინ, როდესაც ბავშვის ქცევა ყურადღების მიღებას არ ემსახურება. თუ ბავშვი აწყობს ტანტრუმს, იმის გამო, რომ დედამ დატოვა იქ და თვითონ წავიდა, მასწავლებლის მხრიდან სხვა ბავშვებისთვის მიმართვა „ბავშვებო, მოდით ამ ახალი ფანქრებით დავხატოთ“, დიდი ალბათობით მიიპყრობს იატაკზე გაწოლილი ბავშვის ყურადღებასაც, დააინტერესებს და თვითონაც ჩაერთვება ხატვის პროცესში.


თავი 5.

კლასის მართვა



არ არსებობს კლასის მართვის უნივერსალური განმარტება, თუმცა როგორც წესი, აღნიშნულ ტერმინში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის გამოყენებულ სხვადასხვა უნარსა თუ ტექნიკას გულისხმობენ. კლასის ეფექტური მართვა:


-  უზრუნველყოფს და ინარჩუნებს მოწესრიგებულ გარემოს საკლასო ოთახში.
-  ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ ზრდას.

 ამცირებს არასასურველი ქცევების გამოვლენას და ზრდის აკადემიური საქმიანობაში ჩართულობის დროს.


გარდა იმისა, რომ ქაოტური საკლასო გარემო აბრკოლებს მოსწავლეების აკადემიურ წინსვლას, იგი, ასევე, მნიშვნელოვანი სტრესორია მასწავლებლებისთვის და მათი პროფესიული გადაწყვის მიზეზიც შეიძლება გახდეს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მასწავლებელი ფლობდეს კლასის მართვის სხვადასხვა ტექნიკას და გამოავლინოს თანმიმდევრულობა მათი გამოყენებისას.

5.1. კლასის მართვის რეკომენდებული ტექნიკები:

ქვემოთ განხილულია კლასის მართვის გავრცელებული ტექნიკები, რომელთა ეფექტურობაც დადგენილია მრავალი ექსპერიმენტალური კვლევიტა და ემპირიული მონაცემით:

 **”ირიბი გამეორების” ტექნიკა.** თუკი ბავშვი არასასურველ ქცევას ავლენს, მაგალითად, იმის ნაცვლად რომ დაიწყოს წერითი დავალების შესრულება, სასწავლო ნივთებით თამაშობს, ამ დროს ბავშვის არასასურველ ქცევაზე აქცენტის გაკეთებაზე უფრო მეტად ეფექტური იქნება, თუკი მასწავლებელი ყურადღებას იმ ბავშვის

ქცევაზე გადაიტანს ვინც კონკრეტულ სასურველ ქცევას ავლენს. (მაგალითად, „ვხედავ, რომ ნინომ უკვე დაიწყო წერა, ყოჩაღ!“) ირიბი წახალისების ეს მეთოდი შენიშვნის მიცემისა და წესების შეხსენების შენიღბული საშუალებაა.

 **„მე” შეტყობინება.** ხშირ შემთხვევაში, კლასის მართვის ეფექტურ ტექნიკას მასწავლებლის მხრიდან იმის გამოხატვა წარმოადგენს, თუ რა გავლენას ახდენს მასზე მოსწავლის მიერ განხორციელებული კონკრეტული ქცევა. მაგალითად, „ნიკა, როდესაც წიგნს გიკითხავთ და შენ ამ დროს მეგობარს ეჩურჩულები, მე ვეღარ ვახერხებ ყურადღების კონცენტრირებას. ძალიან ძნელია ჩემთვის ხმაურში კითხვა.“ ასეთი ტიპის მიდგომა ბავშვის ყურადღებას წარმართავს იმის გააზრებაზე, თუ რა შედეგები მოაქვს მის ქცევას სხვა ადამიანებზე ზეგავლენის თვალსაზრისით, ამასთან მასწავლებლის მხრიდან საკუთარი განცდების მსგავსი სახით ფორმულირება, როგორც წესი, ამცირებს კონფრონტაციას და ზრდის მოსწავლის მხრიდან საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღების ალბათობას.

აღსანიშნავია, რომ ”მე” შეტყობინების გამოყენება ნებისმიერი ასაკის ბავშვთანაა შესაძლებელი, მაგრამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გარდატეხის ასაკის ბავშვებთან მიმართებაში. აღნიშნული ტექნიკის გამოყენებამდე, დარწმუნდით, რომ თქვენს მიერ ბავშვისთვის

მიწოდებული ინფორმაცია არ შეიცავს ბრალდებებს და აღწერს შემდეგს:

- ქცევას (“როდესაც ჩურჩულებ”);
- განცდებს (“მიჭირს კონცენტრაცია”);
- თქვენს ცხოვრებაზე კონკრეტულ ზეგავლენას (“ძნელია ხმაურში კითხვა”)

მასწავლებლის მხრიდან შემდეგი შინაარსის ფრაზა, არ ჩაითვლება აღნიშნული ტექნიკის სწორად გამოყენებად: „მწყობრიდან გამოვდივარ, როდესაც ასე უზრდელოდ იქცევი.“ რადგან აღნიშნული მაგალითი, მართალია მოიცავს მასწავლებლის მხრიდან საკუთარი განცდების გამოხატვას, თუმცა მას ასევე თან ახლავს ბრალდება და შეურაცხყოფა.

✿ მითითება ჩამანაცვლებელ ქცევაზე: მოსწავლეთა ნაწილი არასასურველი ქცევის გამოვლენას აგრძელებს, ხშირად, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ უთითებენ, თუ რისი გაკეთება არ არის სასურველი, მაგრამ აღარ ეუბნებიან, თუ რა ქცევით უნდა ჩამანაცვლონ კონკრეტული არასასურველი ქცევა. მაგალითად, მასწავლებლის მიერ ნათქვამი „ნუ გიყრია ფურცლები მერხზე“, ნაკლებად ეფექტური იქნება, ვიდრე შემდეგი მიმართვა „ნუ გიყრია ფურცლები მერხზე, აკრიფე და ჩააწყვე ჩანთაში“ “ნუ ხევ წიგნს”, უთხარით: “ნუ ხევ წიგნს და შეინახე უჯრაში”.

✿ კონტაქტი ბავშვთან: იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ რომ ბავშვმა გაიგო ჩვენს მიერ მიცემული მითითება, როგორც წესი, საჭიროა მასთან თვალთ კონტაქტის დამყარება, მისთვის სახელით მიმართვა და ზოგჯერ გარკვეული ჟესტების გამოყენებაც.


✿ “გაფუჭებული ფირფიტის” ტექნიკა. აღნიშნული ტექნიკა გულისხმობს მასწავლებლის მხრიდან, მოთხოვნის გამეორებას, მანამ სანამ ბავშვი არ შეასრულებს მას.

✿ “სენდვიჩის” ტექნიკა. გულისხმობს კონსტრუქციულ კრიტიკასა და შეთავაზებას პოზიტიურ რეპლიკებთან ერთად.

აღნიშნული ტექნიკის თანახმად, თუკი მასწავლებელი ბავშვს კრიტიკასა და შენიშვნას პოზიტიურ რეპლიკებს შორის მიაწოდებს, მაშინ ეს უკანასკნელი ბავშვის მიერ ნაკლებ მტკივნეულად აღიქმება. მაგალითად, “გიგი, შენ სწორად ამოხსენი კლასში ამოცანა, (პოზიტიური რეპლიკა), კარგი იქნებოდა საშინაო დავალებაც რომ გქონოდა, (შენიშვნა), მე ვხედავ, რომ მათემატიკა სულ უფრო და უფრო უკეთ გამოგდის. (პოზიტიური რეპლიკა).”

აღსანიშნავია, რომ ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რიგ შემთხვევებში „სენდვიჩის ტექნიკაზე“ უფრო ეფექტურია, როდესაც მასწავლებელი შემდეგი ფორმულირებით აწვდის ბავშვს უკუკავშირს: „გიგი, მომეწონა, რომ...”


(ჩამონათვალი) და ვფიქრობ, რომ კიდევ უკეთესი იქნებოდა, (ჩამონათვალი) რომ გაგეკეთებინა.


 **პრობლემის აღნიშვნა.** ხშირად, უფროსის მხრიდან პრობლემის არსებობაზე მითითება, პრობლემის აღნიშვნა, დეტალური ინსტრუქციების მიცემაზე ბევრად ეფექტური სტრატეგიაა. აღნიშნული ტექნიკის გამოყენება ხელს უწყობს ბავშვის დამოუკიდებლობისთვის საჭირო უნარების განვითარებას. იქიდან გამომდინარე, რომ ასეთ შემთხვევაში მას არ გააჩნია წინასწარი მითითება და თავადვე უნდა სცადოს ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრა. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ამ დროს დადანაშაულებისა და გაკიცხვის გარეშე აღნიშნოს პრობლემა და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მისცეს მიმანიშნებლები. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ ვუთხრათ ბავშვს აკრიფოს ფურცლები და ჩააწყოს ჩანთაში, შეიძლება უბრალოდ მივანიშნოთ მათზე „ნიკა, ფურცლები.“

5.2. კლასის მართვის არარეკომენდებული ტექნიკები:

ქვემოთ განხილულია ის ტექნიკები, რომელთა ეფექტურობაც არ დასტურდება ემპირიული მონაცემებისა და მეცნიერული კვლევების მონაცემების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი, გარკვეულ შემთხვევებში, იძლევა მოკლევადიან შედეგს, ისინი იწვევენ მასწავლებლისა და მოსწავლეს შორის არსებული ურთიერთობების გაუარესებას, ბავშვის თვითშეფასების დათრგუნვასა და არასასურველი ქცევების მოდელირებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს უწყობს არასასურველი ქცევების გამოვლენის ალბათობის ზრდას.

 **შეკითხვა 'რატომ?'** არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული შეკითხვა მასწავლებლის მხრიდან ემსახურება არა ინფორმაციის მოძიებას კონკრეტულად საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, „რატომ არის ხმაური კლასში?“, არამედ წარმოადგენს მისი მხრიდან მოსწავლეებისთვის ნათქვამ საყვედურისა და დადანაშაულების შემცველ კომენტარს.

 **მიმართვა 'შენ'.** როგორც რეკომენდებულ ტექნიკებზე საუბრისას აღვნიშნეთ, ე.წ. „მე შეტყობინებები“ ქცევის მართვის ერთ-ერთ ეფექტურ ტექნიკადაა მიჩნეული, რასაც ვერ ვიტყვით „შენ მიმართვაზე.“ საქმე იმაშია, რომ მსგავსი მიმართვა, მოსწავლეთა უმეტესობის მიერ ზედმეტად უხეშად და მკაცრად აღიქმება. იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელი მსგავს მიმართებს „მე შეტყობინების“ ფორმულირებით გააჟღერებს, მათი ეფექტურობა გაცილებით მაღალი იქნება. ქვემოთ განხილულია შესაბამისი მაგალითები:


✔ „მე მჭირდება სიწყნარე ჯგუფში “ _ ნაცვლად: „რატომ ხმაურობთ?“

✔ „ძალიან გაკვირვებული და იმედგაცრუებული ვარ, იმის გამო, არ გაქვს საშინაო დავალება“, ნაცვლად- „შენ ძალიან უპასუხისმგებლოდ მოიქეცი.“

✔ მე არ მომწონს, როცა ადგილიდან წამოიძახებენ ხოლმე პასუხს. გთხოვ, ხელი აიწიო და შემდეგ მითხრა “, - ”ნაცვლად `შენ უზრდელი ხარ!”


აკრძალვებისა და სიტყვა `არა'-ს ხშირი გამოყენება.

უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ბავშვისთვის მხოლოდ არასასურველ ქცევაზე მითითება, მის ჩამნაცვლებელ ქცევაზე მინიშნების გარეშე, ხშირად, არაეფექტურია. გარდა ამისა, ემპირიული მონაცემების თანახმად, მოზრდილების მხრიდან ამკრძალავი რეპლიკების ხშირი გამოყენება საპირისპირო შედეგს იძლევა, რადგან ბავშვები, რიგ შემთხვევებში, აფიქსირებენ და ყურადღებას ამახვილებენ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვაზე, სიტყვა „არას“ კი მეორეხარისხოვანი ხდება. ამ მიზეზით, ისეთ მითითებას როგორცაა “ეს არ აიღო”, ბავშვის მხრიდან ხშირ შემთხვევაში სწორედ ნივთის აღება მოყვება.

 **ავტორიტარული მიდგომა:** მასწავლებლის მხრიდან დირექტივებისა გაცემა და ბრძანების კილოთი გაცემული მიმართვები, როგორც წესი, უარყოფითად აისახება მოსწავლესთან ურთიერთობაზე და იწვევს მას-

ში სხვადასხვა ნეგატიურ ემოციას: შიშს, ბრაზსა და წყენას მასწავლებლის მიმართ, რაც მოგვიანებით, შესაძლოა, გადაიზარდოს წინააღმდეგობის გაწევისა და რევანშისტული სურვილების გაჩენაში, რაც თავის მხრივ ზრდის არასასურველი ქცევების გამოვლენის ალბათობას. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა უარყოფითად აისახება ბავშვის თვითშეფასებაზეც, მისი კომპეტენტურობისა და პიროვნული ღირსების აღქმაზე.

მუქარა: არასასურველ შედეგებს იძლევა ბავშვთან მუქარების გამოყენებაც. მასწავლებლის მხრიდან გაკეთებულ ისეთ მიმართვას, როგორცაა „ახლავე თუ არ დაიწყებ წერას, დირექტორის კაბინეტში მიგაბრძანებ!“ „ბავშვში ბრძანებისა და დირექტივების მსგავსად, სხვადასხვა უარყოფითი ემოციის გამოწვევა შეუძლია. რაც ბავშვის დათრგუნვას, ან პირიქით, მასში წინააღმდეგობის გაწევის სურვილს აღძრავს. რიგ შემთხვევებში კი ბავშვი შესაძლოა პროვოკაციაზეც კი წავიდეს, იმის შემოწმების მიზნით, თუ რამდენად სერიოზულია მასწავლებლის მუქარა.

 ჭარბი ინფორმაციის მიწოდება. როდესაც რთული ქცევის შეჩერება გვსურს, ამ დროს რეკომენდებულია მხოლოდ იმ ერთ, კონკრეტულ ქცევაზე ფოკუსირება და არა ლექციური ხასიათის მონოლოგები კონკრეტული პრობლემის მიღმა არსებულ მიზეზებთან დაკავშირებით.

უნდობლობის გამოხატვა ბავშვის მიმართ.

ვიცი, როგორც დაწერე ეს დავალება, ალბათ, ვინმესგან გადაწერე. მეც ვიყავი შენხელა და ჩემს მოტყუებას ვერ შეძლებ!“ - მსგავსი ტიპის მიმართვის გამოყენება, მასწავლებლის მხრიდან, რომელიც ბავშვის „გამოჭერას“, მის გამოაშკარავებას ემსახურება, არარეკომენდებულია. იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელი სწორად შეძლებს ბავშვის მოტივის ამოცნობას და მისი ქცევის რეალური მიზეზის დადგენას, ასეთი ფორმით ამ ინფორმაციის მიწოდება, სულ მცირე, იმედგაცრუებასა და სირცხვილის განცდას გამოიწვევს ბავშვში. გარდა ამისა, აღნიშნული ტექნიკა შესაძლოა უარყოფითად აისახოს ბავშვისა და მასწავლებლის ურთიერთობაზე, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მასწავლებლის მიერ სიტუაციის ანალიზი სიმართლეს არ შეესაბამება.

ბავშვის პრობლემის მინიმალიზება

თუკი ბავშვი დისტრესის ნიშნებს ავლენს, მოზრდილების ნაწილი გამომწვევი მიზეზების დადგენის გარეშე, ცდილობს დაარწმუნოს ბავშვი, რომ დამშვიდდეს, ყველაფერი კარგად იქნება, და მის ასაკში არ ღირს რამეზე სერიოზულად ნერვიულობა. მასწავლებლის მხრიდან მსგავსი ტექნიკის გამოყენება სინამდვილეში იწვევს ბავშვთან კომუნიკაციის ბლოკირებას, მასში იმ განცდის გაჩენას, რომ ვერ უგებენ და არ აღიქვამენ სათანადოდ მის ემოციურ სირთულეებს. აღნიშნული კი მოგვიანებით,

შესაძლოა, არასასურველი ქცევების გამოვლენის საფუძველი გახდეს.

სხვა ბავშვებთან შედარება.

რეკომენდებული ტექნიკების განხილვისას, ვისაუბრებთ იმაზე, რომ ზოგჯერ სხვა ბავშვის შექცეამ სასურველი ქცევის გამოვლენისთვის, შესაძლოა გაზარდოს დანარჩენებში მსგავსი ქცევის გამოვლენის ალბათობა, თუმცა აღნიშნული მიდგომა არ უნდა აგვერიოს მასწავლებლის მიერ ბავშვის სხვა ბავშვთან შედარების პროცესში. ისეთი რეპლიკები, როგორებიცაა „ნახე, ელენემ უკვე დაასრულა მუშაობა, შენ რა გჭირს?“ უარყოფითად აისახება ბავშვის თვითშეფასებაზე, ასევე შესაძლოა იწვევდეს აგრესიას იმ თანატოლების მიმართ, ვისთანაც ხდება მისი შედარება, რაც საბოლოოდ ხელს უშლის საკლასო გარემოში მეგობრული, მხარდამჭერი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

არაგულწრფელი ან გადაჭარბებული შექება.

მიუხედავად იმისა, რომ შექება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმამტკიცებელია, მის გამოყენებამდე უნდა დავრწმუნდეთ რომ იგი გულწრფელი და ზომიერია. შექება, რომელსაც თავად ბავშვი არ ეთანხმება, ქცევის განმტკიცების ნაცვლად, ბავშვში, როგორც წესი, გაღიზიანებასა და მოზრდილისადმი უნდობლობას იწვევს.

თავი 6.

ქვევის კოზიტიური მხარდაჭერის მიდგომა

კლასის მართვის ერთ-ერთ წარმატებულ მიდგომას წარმოადგენს ქვევის პოზიტიური მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წარმატებითაა დანერგილი.

ქვევის პოზიტიური მხარდაჭერის მიდგომა ეყრდნობა ქვევით გამოყენებითი ანალიზის იმ პრინციპებს, რომელიც შესავალ ნაწილში განვიხილეთ, და, ასევე, ითვალისწინებს მიგნებებს ისეთი მიმდინარეობებიდან, როგორცაა თემისა და პოზიტიური ფსიქოლოგია.

აღნიშნული მიდგომა აქცენტს აკეთებს კლასის მართვისა და სკოლის მასშტაბით არსებული დისციპლინის სტრატეგიების ინტეგრირებულ გამოყენებაზე, რომელიც ეფექტურ აკადემიურ სწავლებასთან ერთად ქმნის პოზიტიურ და უსაფრთხო სასკოლო კლიმატს ყველა მოსწავლისთვის.

ქვემოთ განხილულია აღნიშნული მიდგომის ძირითადი პრინციპები:

ტრადიციული სასკოლო დისციპლინისგან განსხვავებით, ქვევის პოზიტიური მხარდაჭერის მიდგომა მოგვიწოდებს მეტი პროაქტიულობისკენ, რეაქტიულობის

ნაცვლად და იმისკენ, რომ აქცენტი გავაკეთოთ რთული ქვევის პრევენციაზე და არა მხოლოდ უკვე გამოვლენილი ქვევისთვის, შედეგების დაწესებაზე.

ქვევის პოზიტიური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად განსხვავდება დისციპლინის ტრადიციული მიდგომისგან, რომელიც ბავშვის დასჯას ითვალისწინებს არასასურველი ქვევის გამოვლენისთვის.

თუკი ბავშვი გაკვეთილზე არასასურველ ქვევას ავლენს, მაგალითად, ყვირის ადგილიდან და ხელს უშლის სასწავლო პროცესს, ტრადიციული მიდგომის თანახმად, ასეთი მოსწავლე დიდი ალბათობით მკაცრ საყვედურს მიიღებს და შესაძლოა დირექტორის კაბინეტშიც კი აღმოჩნდეს. ასეთი სასჯელის შემდეგ კი არსებობს მოლოდინი, რომ ბავშვმა უნდა შეწყვიტოს არასასურველი ქვევის გამოვლენა და შესაფერისად განაგრძოს მოქცევა საკლასო ოთახში დაბრუნების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, არ ხდება ბავშვისთვის ინსტრუქციის მიცემა ან იმის სწავლება, თუ რას გულისხმობს სასურველი ქვევა და როგორ უნდა გამოავლინოს იგი საკლასო ოთახში. თუკი ბავშვი განაგრძობს არასასურველი ქვევების გამოვლენას, ტრადიციული მიდგომა ითვალისწინებს სასჯელის გამკაცრებას.

აღნიშნული მიდგომის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ როგორც მრავალი კვლევა

და ემპირიული მონაცემი მიუთითებს, მხოლოდ დასჯის მეთოდი გამოყენება არასასურველი ქცევის გამოვლენის საპასუხოდ, პოზიტიური ალტერნატივის შეთავაზების ნაცვლად, არაეფექტურია და საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მოკლევადიან შედეგებს იძლევა. ამის ნაცვლად, ისინი აქცენტს აკეთებენ მასწავლებლის მიერ სასურველი ქცევის მოდელირებასა და მის განმტკიცებაზე. ქცევის პოზიტიური მხარდაჭერის მიდგომა კი, მართალია იყენებს დისციპლინას, თუმცა მთავარ აქცენტს არ აკეთებს დასჯაზე. ამის ნაცვლად, აღნიშნული მიდგომა მოგვიწოდებს, ბავშვებს ვასწავლოთ და ნათლად დავანახოთ თუ რა მოლოდინები გვაქვს მათ ქცევასთან დაკავშირებით სხვადასხვა აქტივობის დროს.

გარდა ამისა, ქცევის პოზიტიური მიდგომის თანახმად, მნიშვნელოვანია არ გამოგვრჩეს მხედველობიდან შედარებით მსუბუქი ქცევითი სირთულეებიც და მოვახდინოთ მათ უფრო სერიოზულ ქცევით პრობლემებად გადაქცევის პრევენცია.

კერძოდ, საწინააღმდეგო ბავშვი, რომლის რთული ქცევა საგაკვეთილო პროცესის მიზანმიმართულად ჩაშლის მცდელობაში გამოვლინდება, როგორც წესი, მანამდეც ავლენს სხვა, შედარებით ნაკლები სირთულის ქცევებს, მაგალითად სხვა გზებით ცდილობს თავი აარიდოს ამა თუ იმ დავალების შესრულებას, ან ცდილობს მასწავლებლის

ან თანატოლების ყურადღების მიპყრობას. ქცევის პოზიტიურ მხარდაჭერის მიდგომა კი გულისხმობს სწორედ ასეთ სასიგნალო ქცევებზე დაკვირვებასა და მათთან გამკლავების გზების ძიებას. ეს შესაძლოა იყოს იმ მიზეზების დადგენა, თუ რა უშლის ხელს ბავშვს დავალების შესრულებაში, როდესაც ბავშვი ითხოვს გარემომცოფებისგან ყურადღებას, მასწავლებელს შეუძლია მას ამის საშუალება მისცეს უფრო პოზიტიური გზით, მაგალითად მისცეს მას საშუალება გამოთქვას აზრი საგაკვეთილო პროცესში. თუკი ბავშვი ამის შემდგომაც ავლენს რთულ ქცევას, ასეთ შემთხვევაში, სკოლა შეიმუშავებს სტრატეგიას მომავალში მსგავსი ქცევის განმეორების პრევენციისთვის. ეს შესაძლოა იყოს მოსწავლისთვის რამდენიმე წუთით ტაიმ აუტის მიცემა. ბევრ სკოლაში, სადაც აღნიშნული პროგრამაა დანერგილი, ასევე შესაძლოა მოხდეს მშობლების ჩართვა და მათი სწავლება და გადამზადება აღნიშნული მიმართულებით. სკოლამ თვალი უნდა ადევნოს მოსწავლის ქცევის პროგრესს და შეიტანოს ცვლილება სტრატეგიაში, თუკი კონკრეტული მიდგომა არ იძლევა სასურველ შედეგს.

ქცევის პოზიტიური მხარდაჭერის მიდგომა მიმართულია როგორც არასასურველი ქცევის შემცირებისკენ, ასევე ადაპტური, სოციალურად მისაღები ქცევების გაზრდაზე. ამ ორი მიზნის მიღწევა შესაძლებელია ახალი

უნარების სწავლებით და გარემოში ისეთი ცვლილებების შეტანით, რომლებიც ამცირებენ რთული ქცევის გამოწვევის ალბათობას.

☑ აღნიშნული მიდგომის თანახმად, ბავშვებისთვის ისევე უნდა მოხდეს ქცევის სწავლება, როგორც ამა თუ იმ საგნის, მაგალითად, ბუნების ან მათემატიკის.

☑ სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის ქცევის სწავლება უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულ მიდგომებს.

6.1. ქსევის კომიტიური მხარდაჭერის პროგრამისა და ინტერვენციის დონეები:

აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს ქცევის მხარდაჭერის პროგრამას სამ ძირითად დონეზე და აღნიშნული მოიცავს სკოლის მასშტაბით არსებულ მხარდაჭერას მოსწავლეებისთვის, ასევე მცირე ჯგუფებსა და ინდივიდუალიზირებულ პროგრამებს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც არ პასუხობენ სკოლის მასშტაბით არსებულ სტრუქტურას და საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას. განვიხილოთ თუ რას მოიცავს ინტერვენცია თითოეულ დონეზე:

🚩 უნივერსალური დონე:

აღნიშნული მიდგომის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეთა დაახლოებით 80-85 პროცენტი შემლებს გაამართლოს ქცევასთან დაკავშირებული ის

მოლოდინები, რომელიც სასკოლო გარემოში არსებობს, თუკი მოხდება სკოლის მასშტაბით რიგი ღონისძიებების გატარება და დაცული იქნება შემდეგი პირობები:

✔ მასწავლებლები და სკოლის სხვა პერსონალი ქმნიან პოზიტიურ სკოლის კულტურას და ნათლად და ზუსტად განსაზღვრავენ იმ მოლოდინებს, რომლებიც არსებობს მოსწავლეებისა და მოზრდილებისთვის სასკოლო გარემოში, სხვადასხვა აქტივობების შესრულებისას.

✔ სკოლის პერსონალი უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლეებს, თანამშრომლებსა და მშობლებს გააცნობიერებული ჰქონდეთ აღნიშნული მოლოდინები;

✔ მოხდება სასურველი ქცევების სწავლება მოსწავლეებისთვის მოდელირებისა და დადებითი განმტკიცების მეთოდების გამოყენებით.

✔ მასწავლებლები გადიან გადამზადების კურსს ქცევის მართვის პრინციპებთან დაკავშირებით.

✔ სკოლა ნერგავს მეთოდოლოგიურ სისტემას მოსწავლის ქცევაზე დაკვირვების მონაცემების შესაგროვებლად, რაც შემდგომში გამოიყენება ინტერვენციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

🚩 ინტერვენცია მცირე ჯგუფებში:

აღნიშნული მოდელის მიხედვით, მოსწავლეთა დაახლოებით 10-15 პროცენტი, საჭიროებს ინტერვენციის მეორე დონეს, რომელიც უკავშირდება დამატებითი მხარ-

დაჭერის აღმოჩენას იმ ბავშვებისთვის, ვინც მიუხედავად სკოლის მასშტაბით გატარებული უნივერსალური ღონისძიებებისა, კვლავ ავლენს არასასურველ ქცევებს და გააჩნიათ სირთულეები სკოლის ნორმების შესრულებასთან დაკავშირებით.

ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ბავშვების აღნიშნული კატეგორიის იდენტიფიცირება და მათთვის დამატებითი ინსტრუქციების ან ინტერვენციების შეთავაზება.

მოცემულ დონეზე ინტერვენცია შესაძლოა მოიცავდეს ისეთი სხვადასხვა უნარის განვითარების ხელშეწყობას, როგორცაა ბრაზის მართვა, კონფლიქტის გადაჭრა. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუკი ბავშვის ნაწილის რთული ქცევა სოციალური უნარების ნაკლებობითაა გამოწვეული, ასეთ დროს ინტერვენციას წარმოადგენს საკლასო გარემოში ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომელიც აღნიშნული უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს შესაძლოა განხორციელდეს როლური გათამაშებებით, ასევე მასწავლებლის მხრიდან მოდელირების საშუალებით.

ინდივიდუალური, ინტენსიური ინტერვენცია:

ქცევის პოზიტიური მხარდაჭერის პროგრამის მიხედვით, მესამე დონის ინტერვენცია ეხება ბავშვების იმ კატეგორიას, რომელთა სირთულეების დაძლევა ვერ განხორციელდა პირველი ორი დონის ინტერვენციის

ფარგლებში. აღნიშნული კატეგორია, მოსწავლეთა დაახლოებით 5-7 პროცენტს შეადგენს.

მოსწავლეთა აღნიშნული კატეგორია, მოცემული მოდელის მიხედვით, საჭიროებს ინდივიდუალურ, ანუ მათ საჭიროებებზე მორგებულ, უფრო ინტენსიურ მხარდაჭერას და მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის ერთობლივ მუშაობას, მასწავლებლის, სკოლის ფსიქოლოგის, დირექტორის და სპეციალური პედაგოგის შემადგენლობით.

ინდივიდუალურ შემთხვევაზე მუშაობა მოიცავს ქცევის ფუნქციური ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ ინტერვენციას და სკოლის პერსონალის მხრიდან მოითხოვს გუნდური პრინციპების გამოყენებით, თანმიმდევრულ და შეთანხმებულ მუშაობას.

6.2. მშობლების როლი ქცევის კოგნიტიური მხარდაჭერის პროგრამაში

აღნიშნული მიდგომის წარმომადგენლების აზრით პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაში პასუხისმგებლობა თავად მოსწავლეებისა და მასწავლებლების გარდა, მშობლებსაც ეკისრებათ. ისინი ხაზს უსვამენ მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობას შეფასებისა და ინტერვენციის დაგეგმვის პროცესში, რაც აუცილებელია კონკრეტული ბავშვისთვის ინდივიდუალური პოზიტიური მხარდაჭერის გეგმის შემუშავებისთვის. გარდა ამისა, მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, არა მხოლოდ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვისაა ხელშემწყობი ფაქტორი, არამედ ქმნის თემს და უფრო ძლიერ, ერთიან მხარდაჭერ სისტემას.

ტერმინთა განმარტება

განმტკიცება იგივე წახალისება არის პროცესი, როცა ქცევა ძლიერდება მისი უშუალო თანმდევი შედეგების გამო – ეს შედეგი უშუალოდ თან ახლავს ქცევას და ქცევის გაძლიერებას უწყობს ხელს.

განმამტკიცებელი (ჯილდო, წამახალისებელი) არის ისეთი სტიმული, რომლითაც ვაჯილდოვებთ, წავახალისებთ ჩვენთვის სასურველ ქცევას.

ქცევა ცოცხალი ორგანიზმის ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც გააჩნია თავის მიზანი და ფუნქცია. ქცევა არის ყველაფერი ის, რასაც ადამიანი აკეთებს - ასრულებს რაიმე მოქმედებას, ფიქრობს, გრძნობს თუ ამბობს.

ქცევის წინაპირობა სტიმულს, რომელიც წინ უსწრებს ქცევას, ეწოდება ქცევის წინაპირობა. წინაპირობა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოვლენა, ფაქტი, რის საპასუხოდაც აღმოცენდება ქცევა.

ქცევის შედეგი: ყველაფერი რაც მოსდევს თან ინდივიდის მიერ ქცევის გამოვლენას.

ტანტრუმი რთული ქცევის ერთ-ერთი სახე, რომელიც სხვადასხვა მოქმედებებს აერთიანებს- ფეხების ბაკუნთ, ყვირილი, იატაკზე დაცემა.

ABC მოდელი წარმოდგება ინგლისური სიტყვების აბრევიატურისგან: A-antecedent-წინაპირობა, B-behavior-ქცევა, C-consequence-შედეგი. გამოიყენება ქცევის გამოყენებით ანალიზში, რთულ ქცევაზე დაკვირვებისა და ინტერვენციის დაგეგმვის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გამოყენებითი ფსიქოლოგიისა და კვლევის ცენტრი. „როგორ ვმართოთ ბავშვის ქცევა“. 2017
- ბარი ს. პარსონსონი, ქცევის გამოყენებითი ანალიზი. „საქართველოს ბავშვები“. 2013
- Parenting with positive behavior support: A practical guide to resolving your child's difficult behavior 1st edition. Meme Hieneman Ph.D. Karen Childs, M.A., Jane Sergay M.Ed. (pp. 11-12)
- Bradshaw, C. (2014) Positive behavioral interventions and supports. In Slavin, R.E. (Ed.), Classroom Management & Assessment (pp. 99-104). Thousand Oaks, CA: Corwin.
- Sugai, G., & Simonsen, B. (2015). Supporting general classroom management: Tier 2/3 practices and systems. In E. T. Emmer & E. J. Sabornie (Eds.), Handbook of classroom management (2 nd Ed.). New York: Taylor and Francis Group.
- Weissberg, R. P., Kumpfer, K. L., & Seligman, M. E. P. (2003) Prevention that works for children and youth: An introduction. American Psychologist. 58. pp. 425-432.
- Cooper, J. O., Heron, T. E., & Heward, W. L. (2007). Applied Behavior Analysis. (2nd ed.). Upper Saddle River, NJ: Pearson Education Inc.

